№ 192

კვირა, 3 სექტემბერი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 192

კვირა, 3 სექტემბერი, 1900 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მ. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის
(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1900—1901 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ზ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—133—21)

გამგეობა 1827 წ. დაარსებულ რუსეთის პირველ

## დამზღვევ საზოგადოებისა

აუწყებს ყველას, რომ სოლომონ ავეტის ძე ყაზაროვი ამ საზოგადოების აგენტად აღარ იმყოფება. ამ ჟამად **ქ. ტფილისში დაარსებულია მთავარი საააგენტო** ტფილისისა, ერევნისა, განჯის გუბერნიისა და ყარსის ოლქისათვის, **რომელსაც განაგებს** გრიგოლ ადამის ძე **ყარანგოზიშვილი**; ყარანგოზიშვილსსაზოგადოების გამგეობის მიერ მინდობილი აქვს:

1) **დაიზღვიოს ცეცხლის წინააღმდეგ ყოველგვარი ქონება** და
2) **დააზღვიოს აგრეთვე ყოველგვარ უბედურ შემთხვევისაგან**, საელდობრ:

ა) უბედურ შემთხვევისაგან ერთობლივი დაზღვევა მუშებისა და მსახურთა ფაბრიკებსა, ქარხნებსა და სხვა სამრეწველოებში;

ბ) დაზღვევა ყოველგვარ კერძო ადამიანებისა უბედურ შემთხვევისაგან, პრემიის უკან დაბრუნებითა და დაუბრუნებლივა და

გ) დაზღვევა მგზავრებისა რკინის გზებსა და წყალში მოსალოდნელ უბედურებისაგან; ამ შემთხვევაში პრემია მხოლოდ ერთხელ უნდა იქმნეს გაღებული, თითონ დაზღვევის დროს.

მთავარ სააგენტოს სადგომი ქ. ტფილისში სოლოლაკისა და სერგიევსკის ქ. კუთხეშია, მირზოევის სახლი № 1. (3—170—2)

ვისაც რაიმე საქმე აქვს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ნაწარმოებთა ანუ ბუნებით სიმდიდრის შესახებ **ქართველთა მემამულეთაგანს**, ვთხოვთ მიჰმართონ **რაფაელ ისარლოვს**, ქართველთა მემამულეთა წარმომადგენელს პარიჟის გამოფენაზედ.

Raphaël Isarloff Paris, rue des Fcoles, 40. (16—6.—11)

კვირას, 3 სექტემბერს,
კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო სადგომში,

პროფესორი

**ვ. ვ. დოკუჩაევი**

**წაიკითხავს პირველ**

## ლექციას

ნიადაგის შესახებ.

შემდეგ ლექციებს წაიკითხავს 5, 7 და 9 სექტემბერს.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.**

ლექციაზედ შესვლა 50 კაპეიკადა ჰღირს. (1—6.—1)

მასწავლებელ ქალთა საზოგადოების

## სკოლაში

დაიწყო ორივე სქესის მოწაფეთა მიღება 25-ს აგვისტოდგან. სკოლაში ორი განყოფილებაა (ქართული და სომხური) იმ მოსწავლეთათვის, რომელთაც რუსული არ ესმით, და სამი განყოფილებაც რუსული. სკოლა იმყოფება ლერმონტოვისა და გუდოვიჩის ქუჩების კუთხეში. სახლი საგარდა-პოსერბსკისა, № 12. (5—უ.—4)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჩიჩინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**ვ. გ. წერეთელი**—შინაგანი და ბავშვებისა—$11^1/_2$—$12^1/_2$ ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სადოსტაქრო.

**ი. დ. გეგთაგეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$11^1/_2$—$12^1/_2$.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12** საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**შ. მ. ჩიქოვანი. 9—10** საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 ს.** ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი** $1$—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათამდე.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთა (ელექტრო ტერაპ.) და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памяти. Воронцову.

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენ.-ლეიტ. ა. ა. ფრეზე გუშინ საღამოთი უკვე დაბრუნდა ბათუმიდგან.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე მ. მ. შარიგინი უკვე დაბრუნდა ტფილისში და თავისს თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

*** დღეს, 3 სექტემბერს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საიმპერატორო საზოგადოების დარბაზში 1-ლს ლექციას წაიკითხავს ცნობილი ნიადაგის მცოდნე პროფესორი ვ. ვ. დოკუჩაევი.

*** ქუთაისის გუბერნიის, ოზურგეთის მაზრის, სოფ. ნიგოითისა და ლანჩხუთის მცხოვრებლებმა წარსულ წელში განცხადება შეიტანეს კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოში და სთხოვეს შუამდგომლობა გაეწია, რომ ფულად შემწეობა აღმოეჩინა იმათთვის მთავრობას მდ. რიონის ნაპირებზედ კედლების აღმოსაშენებლად, რადგანაც ყოველ წელს წყალ-დიდობის დროს რიონი ნაპირებიდგან გადმოდის და ანადგურებს ამ სოფლების ყანებს. სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ეს თხოვნა გაუგზავნა კავკასიის წყალთა და მდინარეთა უწყების ინსპექტორს, რომელსაც რიონის ნაპირები უკვე დაუთვალიერებია ინჟენერთა მონაწილეობით. იმათის გამოანგარიშებით, რიონის მარტო მარცხენა ნაპირის კედლის ამოშენებას დასჭირდება თურმე 70,000 მან. კედლის ამოშენება საჭიროა მარჯვენა ნაპირზედაც, რომ მცხოვრებლების ნათესობა დაცულ იქმნას წყალდიდობისაგანაო. ერთად-ერთი შემწეობა ის შეგვიძლიან აღმოვუჩინოთ ნიგოითისა და ლანჩხუთის მცხოვრებთ, რომ შუამდგომლობა აღვძრათ, სესხი მიეცეთ სამელიორაციო თანხიდგან რიონის ნაპირების გასამაგრებლადაო, სწერს ბ-ნი ინსპექტორი.

*** რუსეთის რკინის გზებზედ მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების განკარგების შესახებ გზათა სამინისტროში აღძრული საგანი უკვე შეუმუშავებიათ. განზრახვა აქვთ უზრუნველ-ჰყონ მსახურნი როგორც სამსახურში ყოფნის დროს, ისე სამსახურს შემდეგაც, მაგალითად: როგორც რკინის გზის მსახურთ, ისე მათს ოჯახობას უფასოდ უწამლონ ხოლმე, შვილების აღზრდა გაუადვილონ, ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ ხოლმე, რომ სხვა-და-სხვა საურთიერთო დამხმარებელი და მომხმარებელი საზოგადოებანი დაიარსონ და სხ.

*** გზათა სამინისტროში ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ რკინის გზის მსახურთა შეურაცხყოფისათვის პასუხის მგებლობა სხვა თანამდებობათა შეურაცხყოფას გაუთანასწორონ.

*** გარდაწყვეტილია, რომ რუსეთის რკინის გზების უფროსთა და გამგეთა კრება მოიწვიონ ხოლმე ყოველ წლივ პეტერბურგში. აღნიშნულ კრებებისათვის დებულება უკვე შემუშავებულია.

*** ტფილისის გაზეთებს ამ დღეებში შემდეგი წერილი მოუვიდათ ნ. გ. ბაგრატიონ მუხრანსკისაგან, რომელიც ამ ჟამად წმ. ელენეს კუნძულზედ თურმე იმყოფება:

„5 აპრილს 1900 წ. ბოზოვოსთან მომხდარ ცხარე ბრძოლის შემდეგ, სადაც გენერალი ვილბუა დემორეილი მოჰკლეს, ჩვენ ტყვეთ წაგვიყვანეს და აი ინგლისელებმა წმ. ელენეს კუნძულზედ გამომგზავნეს. წერის ნებას არ მაძლევენ და არა მჯერა, რომ ეს ღია ბარათი (ბარათზედ წმ. ელენეს კუნძულის სხვა-და-სხვა ადგილებია გამოხატული) თქვენამდე მოაღწევს; როგორც-კი ნებას მომცემენ,—ყოველივეს დაწვრილებით გაცნობებთ".

თავ. ნ. გ. მუხრანსკი ძმაა აწ განსვენებულის დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის ლ. მუხრანსკისა.

*** ქალაქის გამგეობაში ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ვაკზლის მახლობლად მცხოვრებ ხალხისათვის სადმე ქალაქის თავისუფალს ადგილზედ მახლობლად სანოვაგეს ბაზარი გაიმართოს.

*** ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციას 20,000 მან. სესხი კიდევ მიეცა, რომ საქონლის ჭირისაგან დახოცილს საქონელში მისცენ ხოლმე გლეხებსა და საზეითალო ნაწილის მსახურნი დააკმაყოფილონ.

*** ტფილისის გუბერნიის მმართველმა ქალაქის აღმასრულებელ-სასანიტარო კომისიის თავმჯდომარეს წინადადება მისცა, რომ საჭირო განკარგულება მოახდინოს და თუ შენიშნული იქმნება, რომ შავის ჭირის მგზავსი რამ ავადმყოფობა გაჩნდება საიდგანმე ქალაქში, მაშინვე იმის შესახებ ცნობა საგუბერნიო სამმართველოს სამკურნალო განყოფილებას გაეგზავნოს და არა შავის ჭირის წინააღმდეგ უმაღლესად დამტკიცებულ კომისიის თავმჯდომარეს.

*** 1899 წლის 10 მაისს ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა დააწესოს ოთხი სტიპენდია ათ ათ თუმნიანი რუსეთის პოეტის ა. ს. პუშკინის სახელის პატივსაცემლად: ერთი ქალების პირველს და ერთი ვაჟების პირველ გიმნაზიებში, ერთი რეალურ სასწავლებელში და ერთიც სამოსწავლო ინსტიტუტში. ეხლა ქალაქის გამგეობას საერო-განათლების სამინისტროსაგან უკვე ნება-რთვა მოუვიდა ამ სტიპენდიათა დაწესებისა და ქალაქის გამგეობამ დაადგინა: ვიდრე ამ სტიპენდიათა წეს-რიგი შემუშავდებოდეს, ამ ჟამად სტიპენდია დაენიშ-

ნოთ სხვა და სხვა სასწავლებლის მოსწავლეთ, ხოლო თუ ერთს სასწავლებელში არიან მთხოვნელნი, წილის ყრით დაენიშნოთ იგი. ამასთანავე გამგეობამ სასწავლებელთა კომისიას დაავალა სტიპენდიათა წეს-რიგის შემუშავება და ქალთა პირველ გიმნაზიაში სტიპენდია დაუნიშნა მეორე კლასის მოსწავლეს ანნა აფუტინს. სწავლის გარდასახადიდგან გადარჩენილი ფული თვით მოსწავლეებსა და ან იმათს მშობლებ-მზრუნველებს მიეცემათ.

*** ქალაქის ხელოსანთა დეპუტატების 29 აგვისტოს მომხდარ კრების განგრძობა, რომელიც დანიშნულ იყო კვირას, 3 სექტემბრისათვის, საჴელოსნო გამგეობის მიერ გადადებულ იქმნა 17 სექტემბრისათვის.

*** ქალაქის სასწავლებელთა კომისიის თავმჯდომარემ შეუთვალა საერო სკოლების ინსპექტორს, რომ რადგანაც ავლაბრის ქალაქის 1 სკოლა გადაკეთებულ იქმნა ორკლასიანად, საჭიროა კიდევ ერთი მასწავლებელი ქალი დაინიშნოს. ამ მასწავლებლის კანდიდატად კომისიამ წარუდგინა ანნა ივანოვისა.

*** გზათა სამინისტრომ რკინის გზის უფროსებსა და გამგეთ წინადადება მისცა, რომ უთუოდ ყოველივე ღონისძიებანი მიიღონ მესრეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლადა და საცხოვრებელი სახლებიც სახელმწიფო მისცენ ჯამაგირის გამოურიცხველად.

*** მთავრობას საჭიროდ უცვნია კავკასიის თამბაქოს ქარხნები 1900 წლის 1-ლ სექტემბრიდგან ევროპის რუსეთის სხვა ფაბრიკების წეს-რიგს დაუქვემდებაროს და ამიერიდგან გააუქმოს ის უფლება და შეღავათი, რომელიც მე-III ხარისხის თამბაქოში ჰქონდათ მინიჭებული კავკასიის ფაბრიკებს.

*** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორიდგან ამ ორის წლის წინად მოტაცებულ 50,000 მან. შესახებ ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის მეორე განყოფილებაში 24 ოქტომბრისათვის არის საქმე დანიშნული. ბრალი ედებათ: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელედ ნამყოფს ტიტულიარნი სოვეტნიკს აზნ. ნიკოლოზ ორჯონიკიძეს, აზნ. სოლომონ და გედევან ორჯონიკიძეთ და ქალაქის მკვიდრთ: ოზურგეთისა—შოშიტაიშვილს და ქ. ტფილისისა—პავლე კონდრატიევს. კონდრატიევის გარდა ყველანი დაჭერილები არიან. ამ საქმის გარჩევაში მოწმედ 76 კაცია გამოწვეული.

*** ტფილისის საგუბერნიო საადგილ-მამულო გარდასახადთა გამწერს საკრებულოს სხდომა ჰქონდა, რომელზედაც, სხვათა შორის, მაზრებისათვის აღნიშნულ გარდასახადების გამწერ საკრებულოთა წევრნი იქმნენ ამორჩეულნი: ტფილისის მაზრის საკრებულოში—თავ. ი. გ. ბარათაშვილი, გორისაში—ნ. ა. თუმანიშვილი, თელავისაში—სამსახურ გარეშე მყოფი პოლკოვნიკი დავით აბელიშვილი, სიღნაღისაში—თავ. ნ. ა. ვაჩნაძე, დუშეთისაში—სამსახურს გარეშე მყოფი პოლკოვნიკი ნ. ს. რატიშვილი, ბორჩალოში—აზ. სადიხ ბეგ-ედიგაროვი, თიანეთისაში—თავ. მ. დ. ჩ—ავჯანდიერი, ახალციხეში—აზნ. ი. ი. ორბელიანი და ახალქალაქისაში—აზ. პრაპორშჩიკი მუსტაფა-ბეგ ფალავანდიშვილი. ზაქათალის ოლქში, სადაც თავად-აზნაურობა არ არის, არჩეულ იქმნა მემამულე გარუნ ბეგ სულთანოვი.

*** სოჭში საჯარო ვაჭრობით გასასყიდად დანიშნულია 30 ნაჭერი საუკეთესო მიწა სხვა და სხვა ძვირფასს მცენარეულობისათვის ეგრედ წოდებულს ვერეშჩაგინისეულს სააგარაკოში. თითოეული ნაჭერი მიწა 400-დგან 500 ოთხ-კუთხ საჟენამდეა. სახაზინო დაფასებით ოთხკუთხი საჟენი მიწა ექვს შაურად არის დაფასებული. ვაჭრობა აქედგან დაიწყება.

*** სათანადო მთავრობის გარდაწყვეტილებით, რუსეთის შიდა გუბერნიებ დან შავი-ზღვის ნაპირზედ გადმოსახლება (ჩერნომორიის გუბერნიაში) აკრძალულია, რადგანაც იქ ეხლა ერთობ მცირეა თავისუფალი სახაზინო ადგილები. რაც ეხლა თავისუფალი ადგილია, დაურიგდება იმ რუს გლეხებს, რომელნიც უკვე გადმოსახლებულან კავკასიაში.

*** უმაღლეს ტეხნიკურ განათლების კომისიამ ზოგიერთი პროგრამები უკვე შეიმუშავა. იურიდიულ მეცნიერებათა ჯგუფში შეიტანა სამართლის ენციკლოპედია, რუსეთისა და უცხოელ სახელმწიფოთა სახელმწიფო სამართალი, სამოქალაქო სამართალი საკონკურსო პროცესის დაწვრილებით შესწავლით, სავექსილო, სავაჭრო და საერთაშორისო სამართალი; კომერციულ განყოფილებაში შეიტანა ისტორიაც, მაგრამ ამ საგნის სწავლების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიურ მოვლენებს. ორის ახალ ენის შესწავლა სავალდებულოა; ახალ ენების ლექციების რიცხვი ოთხსავე კურსზე 24-ია. მათემატიკის პროგრამა შედარებით ძალიან მცირეა; ამ საგნის სწავლების დროს უმთავრესი ყურადღება „ვარაუდობის“ თეორიას უნდა მიექცეს.

*** როგორც შევიტყვეთ, კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი სოფელ რუისში ავად გამხდარა ფილტვების ანთებით.

*** ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის პირველსა და მეორე მოსამზადებელ განყოფილებაში წელს 78 მოსწავლე მიუღიათ, 54 პირველს განყოფილებაში და 24 მეორეში.

*** საერო განათლების სამინისტროს განმარტებით, იმ პირებს, რომელთაც სახალხო სკოლების მასწავლებლობის უფლება შეუძენიათ ეგრედ-წოდებულ შემოკლებულის გამოცდით, უფლება აქვთ კლასსის დამრიგებლის თანაშემწის თანამდებობა მიიღონ.

*** პარასკევს, 1 სექტემბერს, პოლიციის მე 9 ნაწილში 1 მალაკნების ქუჩაზედ ტფილისის მცხოვრებელს მარ. ამ ტოლსტოლუცკაიას უნახავს რამდენიმე დღის დაბადებული მიგდებული ბავში, რომელიც პოლიციაში მიუყვანია. ბავში ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

## რუსეთი

ამ ჟამად მთელს რუსეთში სამი სამიტროპოლიტო არსებობს. პეტერბურგის, კიევის და მოსკოვის. ამ შემოდგომიდგან განზრახვა აქვთ მეოთხე სამიტროპოლიტოც დაარსონ—ნოვგოროდის.

— უმართებულესმა სენატმა განმარტა, რომ ის გლეხი, რომელიც თავისის მამის სიკვდილის შემდეგ სკომლო მამულს (ნადელს) ჩაიბარებს, პასუხის-მგებელი არ არის მამის ვალებისა.

— „კანონდებულებათა კრებულში“ გამოქვეყნებულია კანონი, რომლის ძალითაც შესაძლებელია, საერო განათლების მინისტრის ნება-რთვით, სახელმწიფო სასწავლებლების უფლებანი მიენიჭოს იმ სასწავლებელთ, რომელთაც ინახავენ თავისის ხარჯით ერობანი, საზოგადოებანი, წოდებანი და კერძო კაცნი.

— უწმიდესმა სინოდმა დაადგინა, რომ ნება არ უნდა მიეცეთ სააღდგომო და წერილების ქაღალდებზედ წმიდა სურათების ხატვისა, რადგან შეიძლება ამან შეურაცხჰყოს სარწმუნოებრივი გრძნობა მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთა.

— ებრაელთა საქმეები, რომელიც აქამდე შინაგან საქმეთა სხვა-და-სხვა დეპარტამენტებში იყო დაბნეული, ეხლა შეკრებილია უცხო სარწმუნოებათა სასულიერო საქმეების დეპარტამენტში და იქავე დამზადებული ყოველივე მასალა ებრაელთა შესახების კანონ დებულების განსახილველად.

— როგორც ვუწყით, 1901 წლის 1 იანვრიდგან მოქმედებას დაიწყებს საპენსიო კასსა საერო სკოლების მასწავლებელ ქალებისა და კაცებისა. ამ საპენსიო კასსის წესდებით, სრული პენსია მიეცემათ იმ მასწავლებლებს, რომელნიც სამსახურში 15 წელიწადს მაინც განატარებენ, ისე კი, რომ ამ 15 წლის განმავლობაში საპენსიო კასსაში მონაწილეობა მიეღოთ. რომელი მასწავლებელიც დაუძლურდება და შრომა აღარ შეეძლება, იმას მიეცემა პენსია, თუნდა 5 წელიწადზედ მეტიც არა ეთფილოს საპენსიო კასსის მონაწილე, ხოლო თუ 5 წელიწადზედ ნაკლებს იყვნენ, მაშინ ასეთ დაუძლურებულთ, თუმცა პენსია არ მიეცემათ, უფლება ექნებათ უკანვე დაიბრუნონ ის ფული, რაც საპენსიოდ გამოჰქრიცხვიათ, თუმცა წესდებით სხვა მონაწილეთ, რომელთაც 5 წელიწადზედ ნაკლებს უიფიათ კასსის მონაწილეებად, მათ მიერ შეტანილი ფული აღარ უბრუნდებათ. კასსის მონაწილეთ, 15 წლის დამსახურების შემდეგ, მიეცემათ პენსიად წელიწადში სულ მცირედ 46 მან., ხოლო 35 წლის დამსახურების შემდეგ—262 მან. დაუძლურებულთ-კი გაძლიერებული პენსია მიეცემათ, სახელდობრ 64-დგან 275 მანეთამდე.

— უწმიდესმა სინოდმა მიჰმართა საერო განათლების სამინისტროს წინადადებით, რომ სასწავლებელთა მთავრობანი ნურავის მისცემენ სკოლების დაარსების უფლებას, ვიდრე სკოლის დაარსებიდგანვე უზრუნველ-ყოფილი არ იქმნება სადმრთო სჯულის რიგიანად სწავლებათ. დიდად სასურველია, რომ სადმრთო სჯულს სასულიერო წოდების კაცნი ასწავლიდნენ, ხოლო თუ ასეთები ვერ იპოვნეს ამა თანამდებობისათვის, მიჰმართონ ყოვლად უსამღვდელოესობათ და იგი დაუსახელებს საერო კაცებს, რომელთაც სადვთისმეტყველო განათლება მიუღიათ უმაღლესსა და შუათანა სასწავლებლებშიო. საეპარქიო არქიელთ შეუძლიანთ ასეთ თანამდებობაზედ სასწავლებლების მთავრობათ სჯულის მასწავლებლებად დანიშნე ურჩიონ ისეთ მღვდელთა და მთავართა, რომელთაც მრევლი არა ჰყავთ.

— უწმიდესმა სინოდმა ცალკე ეპარქიების სამღვდელოებათ კვლავ განუმეორა, რომ სოფლის ეკკლესიებთან უნდა დაკრძალულ იქმნენ მხოლოდ ის მიცვალებული ადგილობრივნი დეკანოზნი და მღვდელნი, რომელთაც პატიოსნად და უმწიკვლოდ უმსახურნიათ და ქრისტიანებრივად გარდაცვლილან. დანარჩენთა გვამების სოფლის ეკკლესიების ეზოებში დაკრძალვის ნება კი რაც შეიძლება იშვიათად უნდა იყოს დართული, ისიც საეპარქიო არქიელთა განსაკუთრებულ ნება-რთვის თანახმად.

# ფელეტონი

## ციხე ქუჯისა, ანუ ციხე-გოჯი

ერთი უძველესთა ნაშთთაგანი საქართველოს სიძველეთა.

მოგეხსენებათ, თუ როგორა სწყურიანთ ეზოვებს, პატკანიანცებს და მისთანათ ჩვენი განადგურება, ჩვენის ფრიად სახელოვანის წარსულის განქარწყლება. ეს უმეცარნი და უძლურნი „ძალად მეცნიერნი“ მთელის თვისის ძალ-ღონით სცდილობენ განაქიქონ ყველა წყარო ჩვენის ისტორიისა და უმეტესად უძველესის მისის ხანასი. ამ ჯურის მეცნიერების საუბედუროდ და ჩვენდა სასიხარულოდ ყოველმა ახალმა ნაბიჯმა საისტორიო-საარქეოლოგიო რკვევაში არა თუ ვერ დაარღვია ჩვენი მატიანეები და საისტორიო წყარონი, არამედ უმეტესად დაამტკიცა, დაამოწმა და გააფართოვა მათში დაცულნი ცნობანი.

ერთი ამგვართა ახალ შეძენილთა ცნობათაგანი არის ოც-და-ერთის საუკუნის სახელოვანი ნაშთი ქუჯის ციხისა ანუ „ციხე-გოჯისა“, რომელიც ჩვენ დაწვრილებით დავათვალიერეთ 18—19 ივნისს ამა წლისას და რომელმაც თვალ-საჩინოდ დაამოწმა არა თუ თითქმის ზღაპრად და ზოგთაგან სიცრუედ ცნობილი ჩვენს მატიანეებში დაცული ამბავი ალექსანდრე მაკედონელის და მურვან ყრუსი ჩვენს ქვეყანაში შემოსვლისა, აზო და ფარნაოზ მეფეთა თავ-გადასავალისა, არამედ ნათელი მოჰფინა სხვა საისტორიო წყაროებსაც. მაგრამ სანამდის ამ ნაშთებზედ ვიტყოდეთ, გავიხსენოთ ის, თუ ვინ იყო ქუჯი და რა გავლენა ჰქონდა მას საქართველოს უძველეს ისტორიაზედ.

სახელი ქუჯისა უერთდება თვით დასაწყისს საქართველოს ისტორიულის ცხოვრებისას, ესე იგი ფარნაოზ მეფის ისტორიას. ჩვენი მატიანე მოგვითხრობს, რომ ალექსანდრე მაკედონელმა, სამას-ოც-და-ხუთის წლის წინად ქრისტეს დაბადებისა საქართველოში შემოსულმა, გადააგდო სარმეან მცხეთის მამასახლისი და მთელი საქართველო კასპის ზღვიდგან შავ ზღვამდე დაუმორჩილა მისს მომხრეს აზოს, ქართლის მეფის არანის შვილს და ამ დროიდგან დაიწყო ერთ-მეფობა საქართველოში. ამ დროს სამეგრელო ცხენის წყლის პირიდგან კლასურის მდინარემდი (სოხუმს ახლოს) ეჭირა ქუჯის ეგრისის ანუ სამეგრელოს ერისთავს, რომელთა დედა-ციხე იყო ეგროსის ქალაქი ანუ ბედია. ქუჯის ქვეყანა (სამეგრელო) მაკედონელის შემოსვლის შემდეგ გახდა ნაწილი საქართველოსი და ქვეშევრდომი პირველის საქართველოს მეფის აზოსი.

მაგრამ ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ ამ აზო მეფეს გაუჩნდა მოქიშპედ ზემოხსენებულის სარმეანის ძმისწული ფარნაოზი. ამ ბედნიერმა ჭაბუკმა შემთხვევით იპოვა ქვაბში, დიღმის მინდორს ახლო, დამალული აუარებელი განძი, რომელმაც მისცა მას სახსარი საბრძოლველად. „მაშინ ფარნაოზ წარგზავნა მონა თვისი ქუჯისთან,—მოგვითხრობს მატიანე,—და რქვა: მე ვარ ნათესავი უფლოსისი, მცხეთოსის ძისა და ძმისწული სამარა მამასახლისისა და არს ჩემთანა ხვასტაგი (ესე იგი განძი) დიდ-ძალი. აწ ინებე, რათა მით ხვასტაგითა მოვიდე შენთანა და ვიყვნეთ ჩვენ ძმა... და გამოუჩნდეთ ჩვენ მტერად აზო ერისთავსა“. ქუჯის ეს დიდად გაუხარდა და შეუთვალა ფარნავაზს: „აღდეგ და მოველ ჩემთანა და ხვასტაგებითა (განძეულობითა) შენითა განვ მრავლნე სპანი შენნი, ვიდრე გამოვჩნდეთ მტერად აზონისა: მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა“. მაშინ ფარნავაზმა თვისი განძი წაიღო ფარულად და სამეგრელოს ქუჯისთან მივიდა. ქუჯიმ უთხრა: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლობა ჩვენი. აწ ნუ შურობ ხვასტაგსა შენსა, რათა განვამრავლნეთ სპანი, და უკეთუ მოგვეცეს ძლევა, შენ ხარ უფალი ჩემი და მე ვარ მონა შენი“.

ამას შემდეგ ქუჯიმ და ფარნავაზმა შეკრიბეს დიდი ჯარი სამეგრელოში, ლეკები და ოსებიც მოიმხრეს და შევიდნენ ქართლში სალაშქროდ. მაშინ აზოს ქართველნი განუდგნენ, რადგან მეტად შემაწუხებელი იყო ხალხისა, თვით ბერძნის ჯარმაც, რომელიც ახლდა აზოს, უღალატა. ამიტომ აზო გაიქცა კლარჯეთს. ფარნავაზმა ერთის წლის შემდეგ დაიჭირა ყველა ციხე ქართლისა, გაბატონდა და თვთ ანტიოქოსისაგან (ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრისაგან) ცნობილ იქმნა მეფედ. მეორე წელიწადს მეფედ ყოფილმა აზომ დიდ-ძალი ლაშქარი მოიყვანა საბერძნეთიდგან ფარნაოზის წინააღმდეგ, მაგრამ ამაოდ: ფარნაოზმა ხელ-ახლად დაიბარა ქუჯი მრავალ-რიცხოვან ჯარით, ოსებიც და ანტიოქოზ მეფის ერისთავნიც მოეშველნენ და არდაგანის მიდამოებში მოსპო ბერძენთა მხედრობა აზოსი; ფარნაოზმა დაიპყრო მთელი სამცხე-საათაბაგო ტრაპიზონამდე და აუარებელის ნადავლით დაბრუნდა მცხეთას გახარებული.

გამარჯვებულმა მეფემ უხვად დააჯილდოვა თანაშემწენი, ხოლო სამეგრელოს ერისთავს ქუჯის, გარდა ამისა, მიათხოვა თვისი დაი; აგრეთვე მეორე დაი მისცა ოსთა მეფეს. ქუჯი გაძლიერდა და განმდიდრდა. ერთი ნაწილი ამ სიმდიდრისა ქუჯიმ მოახმარა ციხე-გოჯის აშენებას, რომლის დიდებულს ნაშთს ახლაც განცვიფრებაში მოჰყავს ყველა მნახველი.

ციხე-გოჯი აშენებულია მდინარე

# უცხოეთი

**ჩინეთი.** როგორც პეკინიდგან იუწყებიან, ეხლა იქ მშვიდობიანობაა თურმე. მოკავშირეთა ჯარი პეკინის მახლობლად მდებარე ქალაქებისა და სოფლების დაწყნარებასა და იქ წეს-რიგის აღდგენასაც შესდგომია. ამ აზრით პატარ-პატარა რაზმებსა ჰგზავნიან პეკინიდგან ახლო-მახლო ადგილებში. უფრო მეტ ყურადღებას მოკავშირენი სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ მხარეებს აქცევენ, საითაც მოკრივენი და დამარცხებული ჩინეთის ჯარი გაიქცა. ჩრდილოეთისაკენ პეკინს არავითარი შიში არ მოელის! საზოგადოდ-კი პეკინსა და იმის ახლო-მახლო ამ ჟამად სრულიად მშვიდობიანობაა. არსად სჩანან არც მოკრივენი და არც ჩინეთის ჯარი. ამიტომ გაქცეული მცხოვრებნი თან და თან ბრუნდებიან პეკინში და ჩვეულებრივ ცხოვრებას იწყობენ თურმე. ჩინელები ევროპიელებს უფრო ტიან-ძინსა და ტაკუს შუა, აწუხებენ. მოკრივენი დრო გამოშვებით ჩნდებიან ამ ადგილში და თავს ესხმიან იქ მყოფ ევროპიელ მცირე რაზმებს. თითქმის ყოველთვის ჩინელები დამარცხებულნი ბრუნდებიან ხოლმე.

— „Neue Freie Presse"-ს ატყობინებენ: „მოკრივენი ამ ბოლოს დროს სამ ჯერ დაეცნენ თავს პაო-დის. პაოდი დასავლეთ შანდუში მდებარეობს; თითქმის მთელის პროვინციის გერმანელმა მისსიონერმა აქ მოიყარეს თავი. განსაცდელშია იქ 1,200 ქრისტიანემდე. სურსათი და ტყვია-წამალი ცოტა აქვთ და საშიშოა, ამ ცოტა ხანში სულ არ შემოაკლდეთ. კანტონში თითქმის ყოველ დღე უწესოებანი და ჩხუბი ხდება ქუჩებში. თანდათან იქ მცხოვრებნი მეტ თანაგრძნობას უწევენ მოკრივეებს. ჩინელები დიდ უკმაყოფილებას აცხადებენ ჩინურ გაზეთის დახურვის გამო. მოხელეებს ყოველ დღე მოსდით წერილები, რომელშიაც ემუქრებიან და სიკვდილს უქადიან".

— პეკინიდგან ატყობინებენ გაზეთებს, როგორც სჩანს გერმანიის, იაპონიის, იტალიისა და ინგლისის ჯარი პეკინში დარჩება. ამ სახელმწიფოთა მთავრობანი უკვე შეუდგნენ სამზადისს ჯარის სადგომებისა და სურსათისათვის. ყოველ დღე ახალ ახალი ცხენები მოჰყავთ პეკინში და მოაქთ სურსათი ჯარისათვის.

— გერმანიის მთავრობას მოუთხოვნია ნემეცების იმ სავაჭრო ფირმებისაგან, რომელნიც ჩინეთში არიან, დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ, თუ ამ არეულობების დროს რა ზარალი მოუვიდათ. ეს ცნობები მთავრობის იმ სამხედრო ჯილდოს გამოსარკვევად უნდა, რომელიც ჩინეთს უნდა მოსთხოვოს.

— სახელმწიფონი ჯერ კიდევ ვერ მორიგებულან იმის შესახებ, გაიყვანონ ჯარი პეკინიდგან თუ არა, ჯარის გაყვანის წინააღმდეგნი უმთავრესად გერმანია და ინგლისია. როგორც „Daily News"-ი გადმოგვცემს, ამ სახელმწიფოებს უკვე გადაუწყვეტიათ, თუ სახელმწიფონი ვერ მორიგდნენ, იმათ მაინც დასტოვონ თავიანთი ჯარი პეკინში. ჯერ-ჯერობით-კი გერმანიას ახალი წინადადება წარუდგენია სახელმწიფოებისათვის გაიყვანონ პეკინიდგან ჯარის ერთი ნახევარი, მეორე ნახევარი-კი იმ დრომდე დასტოვონ, ვიდრე ზავის შესახებ მოლაპარაკება გათავდება.

## ქართული მუსიკა

(საბიბლიოგრაფიო წერილი)

„ივერიის" მკითხველებს, უეჭველია, თავი მოვაბეზრე სხვა-და-სხვა სიმღერის კრებულის შესახებ საუბარით. მაგრამ რა გაეწყობა! ნამდვილი ეროვნული მუსიკალური ცხოვრება ჯერ-ჯერობით არა გვაქვს, მხოლოდ ვიღვიძებთ საამისოდ, არც რაიმე განსაკუთრებული მუსიკალური ინტერესები მოგვეძევება, ამიტომაც საბაასო საგნებიც ცოტა გვაქვს. მუსიკალურად განვითარებული საზოგადოება და ხელოვნური ეროვნული მუსიკა რომ გვქონდეს, მაშინ საბაასოც ბევრი რამ გვექნება. ამ ნაირად ეხლა მე მსურს მივაწოდო მკითხველს ჩემი აზრი ბ-ნ ბენაშვილის კრებულის შესახებ. ვერ მოვიქეცით რიგიანად, რომ აქამდის არც კი მოვიხსენიეთ ეს კრებული, მით უმეტეს, რომ იგი ღირსია სწორედ მოწონებისა. „უმჯობესია გვიან, ვიდრე არასოდეს". მაგრამ უწინარეს ამისა ვთქვათ ორიოდე სიტყვა რომანსისა და იმის შესახებ, თუ რატომ არა გვაქვს ხელოვნური მუსიკა.

მართლადაც რა მიზეზია, რომ ხელოვნური მუსიკა [აქ]ამდე არა გვაქვს? ღმერთს ჩვენი ერისათვის მუსიკალური ნიჭი არ დაუკლია და, ამისდა მიუხედავად, მას ჯერ-ჯერობით არა ჰყავს მუსიკალური წარმომადგენელი. პოეზიის სიტყვა-კაზმულ მწერლობის, ისტორიისა, საზოგადოებრივ მოღვაწეობის (იმედია, სხვა დარგებისაც) შესამჩნევი წარმომადგენლები არიან, ხოლო მუსიკისა და მხატვრობისა არა და არა. რითი უნდა აიხსნას ეს მოვლენა? ავიღოთ რუსეთი, სადაც მესამოცე წლებმა წამოაყენეს შესამჩნევი კაცები არა-თუ მწერლობაში, აგრეთვე მუსიკაშიაც: მიხაილოვსკი — კრიტიკოსი, შჩედრინი, ნეკრასოვი, უსპენსკი, ბალაკირევი, რიმსკი-კორსაკოვი, მუსორგსკი, ბოროდინი (სხვათა შორის, ამ გენიოს-კომპოზიტორის მამა ქართველი იყო) და სხ. აგრეთვე იყო სხვა დარგებშიაც. ჩვენში-კი მესამოცე წლებმა, მართალია, შექმნა რამდენიმე შესამჩნევი კაცი, მაგრამ მუსიკასა და მხატვრობაში არც ერთი. ჩვენის აზრით, ეს იმის შედეგი უნდა იყოს, რომ ჩვენმა ინტელიგენციამ იმ დროს მთელი თავისი ძალ-ღონე მხოლოდ ერთ მხრივ წარმართა — ხალხის ქონებრივისა და გონებრივის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. მუსიკა-კი მივიწყებულ იქმნა. ორიოდე ცდა შეიძლება იყო, მაგრამ უნაყოფოდ ჩაიარა, რადგანაც ხალხს ესაჭიროებოდა უფრო პრაქტიკული ცოდნა, საზოგადოდ პრაქტიკული რამ, მუსიკა-კი ვერავითარ პრაქტიკულ ცოდნას ვერ მისცემს კაცს, თუმცა კულტურის ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად უნდა ჩაითვალოს.

მეორე მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ უკულტურონი ვართ; შეიძლება ყოველის ერისათვის საჭიროა კულტურის შედარებით უმაღლეს საფეხურზედ ასვლა, ვიდრე ხელოვნურ მუსიკას შეჰქმნიდეს.

ჩემის აზრით, ჩვენში ორივე მიზეზი ჰმოქმედობს. ასეა თუ ისე, მე აქ ამ კითხვის გადაწყვეტას არ ვკისრულობ. ვისთვისაც საინტერესო იყოს, გამოიკვლიოს და გადასწყვიტოს, მე-კი კრებულს შევუდგები.

ბ-ნ ბენაშვილის კრებული იყოფა ორ ნაწილად: სასულიეროდ და საეროდ. ამ ჟამად შევეხები მხოლოდ საერო ნაწილს. ეს ნაწილი შეიცავს 33 სხვა-და-სხვა მუსიკალურ შინაარსის სიმღერას. არის, რასაკვირველია, მათ შორის იმისთანანიც, რომელნიც მუსიკის მხრივ ბევრს ვერაფერს წარმოადგენს, მაგრამ სამეცნიერო საგნისათვის ისინიც საჭიროა. ამ ნაირად ამისთანა შემთხვევაშიაც ყოველი ჩაწერილი ნოტი ძვირფასია. კრებულში კარგად ჰმოქმედებს ავტორის დაკვირვებულობა და დინჯად საქმის დაჭერა. სჩანს, კაცი სცდილა რიგიანად აესრულებინა თავისი საქმე. მართალია, ტექსტის მხრივ კრებული აქა-იქ ვერ გვაკმაყოფილებს, მაგრამ ავტორი არაფერს შუაშია: მას რაც კი ჩაუწერია, ჩაუწერია ყურადღებითა და კარგად.

რასაკვირველია, მისს კრებულშიაც არის რაღაც გაუგებარი სიმღერები: მაგ. ავიღოთ 50 გვერდი. რა არის ეს? გაგრძელებაა სიმღერის: „დელი-ოდელა", თუ რამე დამოუკიდებელი? თუ ეს ახალი სიმღერაა, რატომ „დელი-ოდელას" არა აქვს დამთავრების ხაზი? იმედია, ბ-ნმა ბენაშვილმა იცის, რომ არის დაწყების ხაზი, ტაქტის ხაზი და დამთავრების ხაზი, რომელიც ნიშნავს, რომ სიმღერა ან თხზულება რომელიმე დამთავრდა, დასრულდა. რატომ არა აქვს მას ეს ხაზი? თუ „დელი-ოდელა" არ დასრულებულა, რატომ მისს გაგრძელებას ტექსტი არ უწერია ძირს, პირიქით, გასაღების ნიშნები რად უზის? ყველაფერი ეს უცნაური და გაუგებარია. საზოგადოდ ამ სიმღერის შესახებ უნდა ვთქვათ, რომ იგი სავსეა შეუწყნარებელის დისონანსებით და ზოგიერთ სხვა შეცდომებით, რომელთა დასახელებას არ გამოუდგებით, რადგანაც ბევრს დროს წაგვართმევს.

ვერ გაგვიგია, რანაირად მოუვიდა ეს ყველაფერი ბ-ნ ბენაშვილს, რომელიც, როგორც სჩანს და ვთქვით, შეგნებულად მოჰკიდებია თავისს საქმეს. ვერც ის გაგვიგია, რატომ არა ჰხმარობს არასოდეს დასრულების ნიშნებს.

ეს ნაკლი არ ახდენს, რასაკვირველია, კარგს შთაბეჭდილებას, რომელსაც კრებული გვაგრძნობინებს. რა თქმა უნდა, უმჯობესი იქნებოდა, რომ ეს შეცდომები არ იყოს და აგრეთვე კორექტურულიც (ბევრგან აკლია დიეზები, ბემოლები, გასაღებების ნიშნები).

—

ამ დღეებში მივიღე ორი რომანსი ბ-ნ კარგარეთელისა. ვიდრე იმათ გავარჩევდე, ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვა ვსთქვა საზოგადოდ რომანსის შესახებ. რომანსი იმისთანა მუსიკალური ფორმაა, რომელიც, თავისის სიპატარავისა გამო, მოითხოვს მუსიკისა და ტექსტის სხვა ფორმებზედ უფრო მჭიდროდ დაკავშირებას. იყო დრო, მაგ. რუსეთში, როდესაც რომანსი არსებობდა არა ასაღელვებლად ადამიანისა, არამედ მხოლოდ მის ყურთა-სმენის დასატკბობად; მაშინ იგი წარმოადგენდა ტკბილ-მეავე ბგერათა და მათდაგვარ სიტყვათა უბრალო კრებულს. ის დრო დიდი ხანია წავიდა. ჩვენს დროში მუსიკალურ-ვოკალური ხელოვნება იმ წერტილამდე ავიდა, რომელზედაც იგი თავისს დღეში არ ყოფილა. ამ დარგში ჩვენ ხელთ არის სწორედ იდეალური მაგალითები, რომელნიც გვიჩვენებს, თუ რა ზომამდის აძლიერებს ბგერა სიტყვის მნიშვნელობას, როგორ სრულ-ჰყოფენ ესენი ერთმანეთს. აქ ვხედავთ, თუ რანაირის სიმართლით ჰხატავს პოეზიასთან შეერთებული მუსიკა ადამიანის სულიერი მოძრაობის ყველა მომენტს და აღწევს გამომეტყველების უმაღლესს ძლიერებამდე. ამ გვარი ქმნილებანი ეკუთვნის, რასაკვირველია, თუ არ გენიოსებს, ყოველს შემთხვევაში შესამჩნევ ნიჭიერთ. ვისაც რისამე ხეირიანის დაწერა ჰსურს, ამათთაგან უნდა ისწავლოს. მხოლოდ ამისთანა მაგა-

---

ტეხურის ნაპირას, მთის წვერსა და კალთებზედ უჭირავს ალაგი სიგრძით ვერს ნახევრამდე და სიგანით 100—200 საჟენამდე. ორის მხრით მდინარისაკენ ეს ალაგი მიუვალია ქარაფოვანის კლდეებისა და მდინარისაგან, ხოლო სხვა მხრით გარშემოვლებულია მაგარის ზღუდით. ეს ალაგი დღეს წოდებულია ნოქალაქევად. პირველის შეხედვით მგზავრი განსაკუთრებულად შესანიშნავს ვერას შეამჩნევს: სოფელში შესული დაინახავს მხოლოდ სამს ციხეს, რომელთაგან ერთი ქვეით არის აშენებული მდინარის ნაპირას და ორი სხვა მთის წვერზედ. გარდა ამისა, მგზავრი გაივლის კიდევ ერთის მაღალის ზღუდის კარებში, რომელიც კაცს არ ალუძრავს განსაკუთრებულს ცნობის-მოყვარეობას.

სულ სხვა შთაბეჭდილება მივიღეთ ჩვენ, როდესაც 18—19 ივნისს ადგილობრივის ბლაღოჩინის ჩაჩიბაიასი, ფერშლის კ—ისა და მთავარ-დიაკვნის შ—ძის დახმარებით შემოვიარეთ მთელი ციხე და რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო ზაფხულში (როდესაც ნანგრევი ტყით არის დაფარული), დაწვრილებით განვიხილეთ მთელი ის ალაგი, რომელიც სჭერია ძველს ციხეს. უმთავრესნი დასკვნანი, რომელნიც გამოვიტანეთ ჩვენ ამ განხილვიდგან, შემდეგია: 1) ყველა ზემოხსენებული სამი ციხე, რომელნიც შორიდამვე სჩანს, არ არის ძველი ციხე: აშენებულნი ყოფილან შემდეგს დროებში, XII—XIV საუკუნოებში შედარებით წვრილ ქვებისაგან, მხოლოდ საძირკველი ამ ციხეებისა გაუკეთებიათ იმ დიდ ქვებისაგან, რომლითაც აშენებული ყოფილა უძველესი დედა-ციხე; 2) ნამდვილი ძველი ციხე შორიდგან არა სჩანს, იგი თუმცა მიწასთან არ არის გასწორებული, მაგრამ იმდენად დაზიანებულ-დარღვეულია, რომ ტყე-ბუჩქნარებში შორიდგან ძლივს გამოირჩევა. ეს ძველი ციხე წარმოადგენს ზღუდეს, რომელიც მთელს ზემოხსენებულს მთას და ველს სამ სარტყლად შემოვლებია. ერთი სარტყელი მთის წვერზეა და შეადგენს დაახლოვებით მეოთხედს ვერსს სიგრძით, მეორე მთის შუაშია ერთ ვერსამდე სიგრძით და უკანასკნელი მთიდამ ვაკემდე და ტეხურის ნაპირამდე ჩამოდის.

მაგრამ რა ზღუდეა ეს სამი ზღუდე! თითქმის არ დაგვრჩენია განუხილავი საქართველოს დიდი ნაშთები, მაგრამ ამის მსგავსი არა შემხვედრია-რა. პირველად გაგაოცებთ ის, რომ ყველა ზღუდე აგებულია უზარ-მაზარის ნათალ ქვებით, რომელთა სიდიადე და სიმძიმე ზღაპრულია: ხშირად შეხვდებით ქვებს, რომელიც სიგრძით ორიდგან ოთხ არშინამდე მიაწევს, რამდენიმე ქვა ვნახეთ სიგრძით ხუთის არშინისა და ცოტა მეტიც, შესაფერი აქვს სიგანეც და სიგრძეცა! უყურებთ და თან ჰკითხულობთ: რომელმა ძალამ მოგლიჯა ამ სიმსხო ქვები? ან ვინ შესძლო მისი გადატანა და ამ სიმაღლეზედ ატანა? რომელმა ურემმა გინა მანქანამ გაუძლო ამ სიმძიმეს? იკითხავთ, გაკვირდებით და იტყვით: უსათუოდ ძველად მდევები ცხოვრებულანო ამ ქვეყანაში... მართლაც-და, როდესაც მანქანები და ამოდენა ხელობა არ ყოფილა ქვეყანაზედ, ორ-სამ ათასის წლის წინედ, როგორ შეიძლებოდა ასრეთის ქვებით ესრეთის დიდის შენობის აგება? შესანიშნავია თითონ ქვებიც: სიმტკიცე აქვთ კაჟისა, იოტის ოდენა გავლენა არ ეტყობა ორის ათასის წლისა! — ვისაც უნახავს ან გაუგონია ესრედ წოდებული циклопическія постройки, უნდა დარწმუნდეს, რომ ციხე-გოჯიც ერთი უდიდებულესთა ნაშთაგანია ამ გვარის შენობათა. ხოლო უფრო გასაკვირია ის, რომ ამოდენა სამზღუდიანს კედელს ვეებერთელა სისქე აქვს: ოთხი არშინი, ხშირად ხუთი და ზოგან ექვსი არშინი! სად გაგონილა ამ სისქე შენობანი? ორი ურემი თავისუფლად გზას აუქცევს 5 და 6 არშინიან კედელზედ. განთქმული ბაბილონის კედელი, ვგონებ, უსქესი არ იყოს.

სამწუხაროდ, სიმაღლე კედლებისა მეტად დაზიანებულია, უმეტესს შემთხვევაში აწინდელი სიმაღლე არ აღემატება 4 არშინს, მაგრამ ზოგან კი შენახულა ხუთიდგან შვიდ საჟენამდე სიმაღლე. ციხეს ანგრევენ შენობათათვის. გარშემო სოფლელები ეკლესიებს ამ ქვებით იშენებენ, ხოლო თვით ნაქალაქევის მცხოვრებნი ხომ არა თუ სახლ-სარდაფებს, არამედ გალავანსაც კი ამ ქვებით იკეთებენ. კარგი რომ უზარმაზარია ეს ქვები და ვერ დაუძრავთ, თორემ ნატამალიც არ დარჩებოდა აქამდე ამ ძვირფასის ნაშთისაგან. მე მითხრეს, რომ მებატონენი დადიანნი ჰყიდიანო კიდეც ამ ქვებს, როგორც თავისს საკუთრებას, თუმც ძნელი დასაჯერებელია, რომ ესრეთთ წარჩინებულ გვართა არ იცოდნენ კანონნი არქეოლოგიურ ნაშთთა შესახებ... უეჭველია, რომ 1300 წელს ხალხი სძარცვავდა ამ ნაშთებს, მაგრამ მაინც ამდენი საუკუნენი ვერ მოჰრევიან, რადგან მართლა რომ აუარებელია და განსაცვიფრებელი სიმრავლე და სიდიადე ქვათა.

გარდა ზემოხსენებულის სამზღუდისა, ქუჯის ციხეს (ე. ი. უძველესს ნაწილს ციხისას) ეკუთვნის შესანიშნავის ხელობითა და უზარ-მაზარის ქვებით აშენებული ვრცელი გვირაბი ციხიდამ ტეხურის მდინარემდე. გვირაბი ავსებულია მიწით და მხოლოდ პირი-ღა სჩანს იმისი.

თ. ჟორდანია

(დასასრული იქმნება)

ლითად გაწვრთნილს შეუძლიან დასწეროს რამე კარგი, თუ, რასაკვირველია, ნიჭი აქვს.

ახლა ავიღოთ ბ-ნ კარგარეთლის რომანსები და გავსინჯოთ, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ამ მოთხოვნილებას. სამწუხაროდ, სავსებით ვერა; აქ შევხვდებით რომანსში „ар-ф'а“-ს „а'рфа“-ს მაგიერ, „р'одные зву'ки“ „родн'ые з'вуки“-ს მაგიერ, რაიცა უფრო დილლეტანტობას ამტკიცებს, ვიდრე რასმე სერიოზულს. არის ბ-ნ კარგარეთლის რომანსებში ლამაზი მელოდიები ხალხურის ხასიათისა, მაგ. „თავო ჩემო“ (ეს სიმღერა, მგონია მართლაც ხალხს ეკუთვნის), მაგრამ მარტო მელოდია რომანსისთვის არა კმარა, საჭიროა კიდევ სხვა რამე.

აშკარაა, კარგის რომანსის დაწერა არც ისე ადვილი საქმეა.

არც მთარგმნელი გვაკმაყოფილებს ყველგან: მაგ. ამისთანა ლექსები, არა მგონია,ვარგოდეს:

„О пойми тоску мою
И мученіе любви
И улыбкою молю
Жизнь страдальца обнови“,

ან-და შემდეგი:

„И адъ въ душѣ моей... и смерть порою
я чувствую вблизи, передъ собою
Но насмѣшекъ боясь и нескромныхъ глазъ
я веселье и смѣхъ несу на показъ“.

—

ვათავებ ჩემს წერილს გურულის სიმღერით „воспоминаніе“. ეს სიმღერა ბ-ნ ქორიძის მიერ გადაღებულია ოთხის ხმისათვის და გამოცემული სამ ენაზედ: ქართულსა, რუსულსა და იტალიანურად. ტექსტი როგორღაც ვერ არის ლოგიკური. აი თვით ტექსტი:

მომაგონდა წარსული
დრონი ოდეს ვსტკბებოდი,
წვანეზედა უქუდოთ
წვიმით არ ვსველდებოდი.
ჩემსა სატრფოს ყვავილსა
მყისვე ვეუნოსებოდი
ნეტაი ფრთები მომცა
მასთან გავფრინდებოდი.

თარგმანი:

Вспомнилъ прошлые я дни,
Дни, когда блаженствовалъ
Съ непокрытой головой
Я дождя не чувствовалъ.
Я цвѣтокъ тамъ полюбилъ
Упивался имъ дышалъ
И на крыляхъ любви
Я бы вновь къ ней улеталъ.

გარდა ამისა, აკკომპანიმენტი ამ ს მღერისა როგორღაც სუსტია. რა არის ამისი მიზეზი, არ ვიცი, მხოლოდ უამ კკომპანიმენტოდ სიმღერა არას დაჰკარგავს.

ამით ვათავებ დღევანდელს საუბარს. თუ რამ ახალი, საინტერესო გამოჩნდება ჩვენს მუსიკალურ ცისკიდურზედ, ვეცდები, შეიძლება დაგვიანებით, მაგრამ მაინც გავუზიარო მკითხველებს ჩემი აზრი.

დიმიტრი არაყიშვილი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

გაზ. „Temps“-ის იტალიელ კორესპონდენტს ლაპარაკი ჰქონია მთელს იტალიაში ცნობილ ყაჩაღ მუზოლინისთან. კორესპონდენტი საგანგებოდ წასულა ამ ყაჩაღთან და ერთ მივარდნილ და მიყრუებულ ალაგას უნახავს. როდესაც კორესპონდენტს ოჯახისა და ნათესავების შესახებ უკითხნია, ყაჩაღს უთქვამს: „მე ორი ახალგაზდა და მყავს. ბავშობაში ძალიან გვიყვარდა ერთმანერთი. ერთხელ უმცროსმა დამ, გრაციამ, ბევრის ძებნის შემდეგ როგორც იყო მიპოვნა მთაში. ნახვის დროს იმის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მთელი ორი საათი სტიროდა და მეხვეწებოდა დამეტოვებინა ჩემთან. ბოლოს, რომ ვერაფერი გავაწყე, იძულებული გავხდი ძალად მიმენებებინა და გავქცეულიყავი. მას შემდეგ აღარ მინახავს“. ამ ლაპარაკის დროს ყაჩაღს ცრემლები ჩამოსცვივდაო, გადმოგვცემს კორესპონდენტი.

— თქვენ უთუოდ არა ერთის კაცისათვის მოგისპიათ სიცოცხლე,—უკითხნია კორესპონდენტს,—მერე სინიდისი არ გაწუხებთ ამისათვის?

— მე სრულიად უდანაშაულო ვიყავი, როდესაც სიკვდილით დასჯა გადამიწყვიტეს. ისე მომექცნენ, როგორც ძაღლსაცკი არ მოეპყრობიან. ეხლა შურს ვიძიებ, ჯავრს ვიყრი, ამიტომ არა ვნანობ, სინიდისი არ მაწუხებს, როდესაც სამაგიეროს ვუხდი ჩემ მტანჯველებსა და იმათ მაგვარ ხალხს. ვწუხვარ მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩემდა უნებურად, შეცდომით უდანაშაულო ხალხს ზარალს ან რამე ვნებას ვაყენებ.

კიდევ კარგა ხანი ულაპარაკნიათ ყაჩაღსა და კორესპონდენტს. შემდეგ ყაჩაღი გამომშვიდობებია, გადაუკიდნია მხარზედ თოფი და ხშირ ტყეში შესულა.

* *
*

როგორც ვუწყით, ჩინეთის იმპერატორი სუსტი და ავადმყოფი კაცია. იმპერატორი მეტად ცოტასა სჭამს თურმე, მაგრამ ამისდა მიუხედავად სადილად უზომო სანოვაგეს მიუტანენ ხოლმე, როგორც ჩვეულება ამას მოითხოვს. ყოველდღე იმპერატორს მიართმევენ ხოლმე 30 გირვანქა მოხრაკულ ხორცს, 7 გირვანქა მოხარშულ ხორცს, 2 ცხვარს (მოხარშულს ან შემწვარს), 2 იხვს, 80 ძროხის რძეს და 75 გირვანქა ჩაისაგან მომზადებულ სასმელს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 სექტემბერი

**პეტერბურგი.** მე-69 ტირაჟში გამოვიდნენ შემდეგი სერიის ნომრები მეორე შინაგან სესხის მოგებიან ბილეთებისა.

18894, 8557, 3452, 10389, 1643, 17838, 8257, 13037, 9139, 5190, 16293, 19638, 15032, 12595, 1099, 18364, 19944, 16080, 505, 13075, 16200, 9612, 1741, 13949, 8630, 9284, 18165, 776, 3386, 2154, 7116, 13790, 3099, 9330, 17924, 9966, 14619, 10743, 11323, 18608, 19861, 10497, 3747, 1683, 4316, 13060, 12432, 4710, 9323, 11591, 4901, 10101, 6998, 4160, 12131, 3706, 2631, 2412, 694, 2006, 10080, 18831, 14775, 16307, 16427, 16256, 19084, 2758, 17445, 19779, 12515, 2939, 11386, 6034, 19696, 8266, 7157, 17430, 13581, 6069, 11057, 5237, 11845, 567, 3724 5309, 10790, 4415, 18422, 9623, 11525, 17123, 12518, 8778, 14297, 10304, 5237, 11845, 567, 3724, 5309, 10790, 4415, 18422, 9623, 11525, 17123, 12518, 8778, 14297, 10304, 5373, 1048, 1750, 10780, 7141, 17762, 18161, 2963, 18826, 14851, 13331, 16233, 10578, 5807, 17172, 12211, 8080, 7497, 4179, 11478, 18090, 14709, 3019, 13173, 14110, 9101, 1211, 12608, 15306, 15148, 15517, 17545, 3257, 11437, 19629, 14076, 11520, 10906, 6545, 7542, 8472, 1041, 1541, 4480, 7819, 2802, 12603, 12309, 18415, 15286, 8392, 5673, 8659, 17143, 15822, 14418, 19407, 12389, 13711, 2673, 3911, 14525, 3217, 3191, 2329, 16433, 14246, 195[illegible], 3942, 14206, 8894, 15347, 6338, 13850, 13762, 13461, 10037, 7528, 18665, 5925, 1971, 14951, 5584, 14135, 8350, 695, 15487, 13334, 15006, 9654, 1736, 7835, 2602, 6976, 8879, 17979, 19414, 13947, 11884, 6370, 15759, 386, 15854, 3510, 2187, 17785, 3325, 6131, 8837, 1312, 18070, 16896, 13717, 13791, 2841, 18037, 5718, 15220, 11876, 10167, 13732, 12562, 840, 288, 6169, 1743, 2442 და 19915.

**კონსტანტინოპოლი.** ამ რამდენისამე დღის წინად მრავალი საბერძნეთის ქვეშევრდომი დააპატიმრეს იმ მიზეზით, რომ ხელის მოწერით ფულსა ჰკრებდით „ეტნიკა გეტერიას“-ს სასარგებლოდაო. ამათ დაპატიმრებისა გამო უკმაყოფილება გამოუცხადა გარეშე საქმეთა მინისტრს თევთიკ-ფაშას საბერძნეთის რწმუნებულმა.

**შანჰაი.** სუიფუში, სიჩუანის პროვინციის დასავლეთით, უცხო-ქვეყნელთა ქონება გაძარცვეს და დასწვეს. ყველა უცხო-ქვეყნელს წინადადება მიეცა, მოხელეთა მფარველობის ქვეშე დარჩნენ.

**ბერლინი.** ტაკუდგან იუწყებიან, რომ პეკინის დაჭერისათანავე საიმპერატორო ჯარი განვიდა პეკინისა და იმის მიდამოებიდგანაო. „დიდის მუშტის“ მომხრენი დარჩნენ ტიანძინის ახლო-მახლო. რადგან ითხოვეს, რომ იაპონიის ათასი ჯარის-კაცი გაიგზავნოს „დიდის მუშტის“ დასამარცხებლადაო, 26 აგვისტოს სამი ათასი მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარის-კაცი გავიდა ტიან-ძინიდგან „დიდის მუშტის“ წინააღმდეგ. ამბობენ, რომ იმპერატორი დროებით დაბინავდა პაოტინფუში, ხოლო მისნი კარის-კაცნი მზად არიან შანსიში გაიქცნენ, თუ საქმეთა ვითარებამ იძულებულ ჰყო იგინიო.

**ლონდონი.** „Morning Post“-ს აუწყებენ პეკინიდგან, რომ მანჯურიელი მინისტრები მივიდნენ საელჩოებში მადლობის გარდასახდელად ქალაქსა და სასახლეში წესიერების აღდგენისათვისაო. გერმანიის საელჩომ არ ინახულა იგინიო. „Times“-ს დეპეშით აცნობებენ შანჰაიდგან, რომ ადმირალი ხუანი და გენერალი ლი ფლოტისა და ჯარის მთავარ-სარდლებად იქმნენ დანიშნულნი ნონიიანშიო. ორივენი უცხო-ქვეყნელთა წინააღმდეგნი არიან და ამას წინად მოწოდებულნი იყვნენ ვიცე-კოროლთან მტრის მოსაგერებელ ღონისძიებათა შესახებ მოსალაპარაკებლადაო. საკმაო სამხედრო სამზადისი გაიგზავნა ცზიან ვანის თოფხანიდგან ნანკინში.

**კელნი.** „Kölnische Zeitung“-ი განმარტებს, რომ გერმანელებს იანცზეში არავითარი ანგაარი ინტერესი არ ამოქმედებთ და ისინიც სხვა დიდ სახელმწიფოებთად ერთად ჰმოქმედებენ მათდა თანახმადაო; იმათ შანჰაიში ჯარი იმის გამო გადასხეს, რომ ყოველ ეროვნების უცხო-ქვეყნელნი მოუსვენრად ყოფას აცხადებდნენო. ორის მცირე გემის გაგზავნა ხანკოუში-კი გერმანიის იმ ქვეშევრდომთა ინტერესების დაცვამ გამოიწვია, რომელნიც იანცზეს შუა-მდინარეების ახლოს სცხოვრობენო.

2 სექტემბერი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ-ი ნება და დაამტკიცა გორის ეპისკოპოსი ყოვლად უსამღვდელოესი ლეონიდე იმერეთის ეპისკოპოსად, ხოლო ალავერდის ეპისკოპოსი ყოვლად უსამღვდელოესი კირიონი—გორის ეპისკოპოსად.

**ოდესსა.** დღეს დაიწყო ლექციები ნოვოროსიის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზედ.

**ვაშინგტონი.** ლიხუნგჩანგსა და ცინს მიემატა იუნლუ ვითარცა მშვიდობიანობის დამდები კომისსარი.

**შანჰაი.** ლიხუნგჩანგი წავიდა დღეს პეკინში.

**ვენა.** გამოქვეყნებულ იქმნა ბრძანება, რომ ქალებს ნება მიეცეთ სამკურნალო მეცნიერება შეისწავლონ ავსტრიის უნივერსიტეტში და ეგზამენი გარდაიხადონ ხოლმე მკურნალობისა და ფარმაცევტობისა.

**ლონდონი.** რობერტსმა გამოაქვეყნა შემდეგი მოწოდება: „კრიუგერი პორტუგალიის საზღვარზედ გადავიდა და ფორმალურად უარი განაცხადა პრეზიდენტობაზედ. მის მიერ უარ ყოფამ ბურთა საქმისამ უნდა დაარწმუნოს ბურგერები, რომ ბრძოლის განგრძობა უსარგებლოა. იმათ, უეჭველია, არ უწყიან, რომ 15,000 კაცი იმათი თანამემამულე ტყვედა გვყავს და არც ერთი არ იქმნება განთავისუფლებული იმ დრომდე, ვიდრე ყველანი, ვისაც-კი იარაღი ასხია, არ დაგვმორჩილდებიან. ბურგერებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ის გარემოება, რომ არც ერთის დიდის სახელმწიფოსაგან მოსალოდნელი არ არის იმათს საქმეში გარევა. დიდმა ბრიტანიამ გარდასწყვიტა ბოლომდე მიიყვანოს ის ბრძოლა, რომელიც გამოუცხადეს მას რესპუბლიკის წინანდელ მთავრობათ. თუ ანგარიშში არ ჩავაგდეთ მცირეოდენი ოლქები, რომლებიც ბოტას ჯარს უჭირავს, დანარჩენს ადგილებში ბრძოლა უწესო და უსინიდისო მოქმედებად არის შექმნილი. ჩემს მოვალეობას დავარღვევდი, ყოველივე ღონისძიება რომ არ მეხმარა ამ უკანონოდ წარმოებულ ომის მოსასპობად. ის საშუალებანი, რომელთა ხმარებასაც იძულებულ ვარ, ეკუთვნის სამხედრო ჩვეულებით დაწესებულ ღონისძიებათ. იგი დამღუპველია ქვეყნისათვის და ბურგერებს დაუსრულებელს ტანჯვას აყენებს. რაც უფრო დიდხანს გასტანს პარტიზანული ომი, მით უფრო სასტიკნი იქმნება ეს ღონისძიებანი“.

**პეკინი.** „დიდის მუშტის“ 500 კაცი თავს დაესხა რუსთა ორს როტას, რომელნიც იცავდნენ მაცზაუიფუს სამხრეთით რკინის გზის გამყვანთ. როდესაც როტებს ჯარი მოეშველა, „დიდის მუშტის“ მომხრენი გაფანტულ იქმნენ. დაჭრილია ორი რუსის ჯარის კაცი.

**ლორენცო-მარკეზი.** ხმა დადის, რომ ბოტამ თავი დაანება ბურების ჯარების უფროსობას და იმის მოადგილედ ვილსონი იქმნება დანიშნულიო.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იუწყება მახადოდორპიდგან: „ბულლერი მაცნობებს, რომ დავიპყარიო სპიცკოპი და დიდ-ძალი სურსათი და სამხედრო სამზადისი ვიპოვნე იქაო. ინჟენერთა მატარებელს, რომელიც გაიგზავნა მახადოდორპსა და ლეიდენბურგს შუა ტელეგრაფის აღსადგენად და რომელსაც მე-19 გუსართა რაზმი იცავდა, თავს მტერი დაესხა. ინჟენრები ყველანი დაბრუნდნენ უმახლობელესს ბანაკში, ხოლო იმ ჯარის შესახებ-კი, რომელიც მატარებელს გაჰყვა, არავითარი ცნობა არ მოსულა.

**ლორენცო-მარკეზი.** კრიუგერი პოტტას სახლიდგან ადგილობრივ გუბერნატორის სახლში გადასახლდა.


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 9 სექტემბერს, ნაშუადღევის 1 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით, მოხდება.

### საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის გასანათებლად საჭირო 12,000 ფუთი ნავთის მოტანის საქმე.

პირობების გასინჯვა შეიძლება გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა, დილის 9-დგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(3—6.—2)

## კ ა ნ ტ ო რ ა

**ნოტარიუსის ილია ივანეს ძის წინამძღვრიშვილისა** ღიაა დილის ცხრა საათიდგან ნაშუადღევის სამ საათამდე. კანტორა იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, მეორე სართულში, სახლი № 2. (15—9)

## კერძო სასწავლებელი მეორე ხარისხისა პროგიმნაზიის კურსით ქ-ნ ა. დიაჩკოვისა

ბ-ნ სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით, ამ წლის სექტემბერში ვაარსებ კერძო სასწავლებელს მეორე ხარისხისას ქალებისას და სკოლას ორივე სქესის ბავშვების შუათანა სასწავლებლების მდაბალ კლასებში მოსამზადებლად, ქალთა პანსიონით.

ყმაწვილების მობარების მსურველთა განცხადება მიიღება ყოველ დღე, დილის 9-დგან ნაშუადღევის 1 საათამდე სასწავლებლის სადგომში ელისაბედის ქუჩაზედ, მკურნალის სამოილოვის სახლებში, № 154.

(5—151—5)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 го Сентября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე